სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის

სოფელ წეროვნის N3 საჯარო სკოლის

დაწყებითი კლასების პედაგოგის

ნინო ნოზაძის

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

,,I⁴ კლასში გაწაფული კითხვის უნარის განვითარების პროცესში მშობელთა ნაკლებად ჩართულობით გამოწვეული პრობლემა და მისი გადაჭრის გზები.“

2018-2019 სასწავლო წელი

სარჩევი

I თავი 1
შესავალი 1
I.1. პრობლემისაქტუალურობა 1
I.2. კვლევის**მიზნები:** 2
I.3. ძირითადიდასკვნები: 4
II თავი 5
ლიტერატურისმიმოხილვა: 5
III თავი 6
კვლევისდიზაინი 6
III. 1. ძირითადისაკვლევიკითხვა: 6
III.2. სამიზნეჯგუფი: 7
III.3. კვლევისმეთოდები: 7
III.4. მონაცემთა ანალიზი: 8
III. 5. მიგნებები: 12
III. 6. ინტერვენციები და მათი განხორციელება: 12
IV თავი ქმედებების/ ინტერვენციებისშედეგებისშეფასება 14
4.1. განხორციელებულიინტერვენციებისშედეგიანობისშეფასება: 14
V თავი დასკვნები: 14
V.1. შედეგებისშეჯამება: 14
V.2. მომავალიკვლევისათვისმნიშვნელოვანისაკითხები: 15
ბიბლიოგრაფია: 16
დანართები დანართი № 1 17
რეფლექსია 23

I თავი

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი არის პრაქტიკის კვლევის ანგარიში. მასში განხილულია I[4]

კლასის მოსწავლეთა გაწაფული კითხვის უნარების განვითარების პროცესი, ამ პროცესში პრობლემის გადასაჭრელად დაგეგმილი და განხორციელებული ქმედებები, ასევე კვლევის შედეგად გამოტანილი დასკვნები და რეკომენდაციები.

I.1. პრობლემისაქტუალურობა

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა მოსწავლეებს განუვითარდეთ გაწაფული კითხვის უნარი. კითხვის უნარის განვითარება წიგნიერების საფუძველია, რაც სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. კითხვის შესწავლის პროცესში მოსწავლეებს სხვადასხვა სირთულეებთან უწევთ გამკლავება.

ვთვლი, რომ საკვლევი საკითხი მეტად აქტუალური და საყურადღებოა, როგორც მოსწავლის სწავლის ხელშეწყობისათვის, ასევე მასწავლებლის პედაგოგიური პრაქტიკის ეფექტიანობის ზრდისათვის.

საკვლევი თემის შერჩევა განაპირობა შემდეგმა გარემოებამ: მივხვდი, რომ გაწაფული კითხვის უნარის განვითარება უმნიშვნელოვანესია გააზრებული სწავლებისთვის, არა მარტო ენისა და ლიტერატურის თვალსაზრისით, არამედ მათემატიკაში ამოცანების გაგება-გააზრებისთვის ან თუნდაც ნებისმიერ საგანში. ცოდნა პირდაპირ კავშირშია გაგება-გააზრებასთან. ამ პრობლემაზე დაკვირვების და მისი მიზეზ-შედეგობრივი განშტოებების განხილვისას, უკეთესად შევძელით პრობლემის იდენტიფიცირება.

გამოიკვეთა შემდეგი ქვეპრობლემები:

1. დროის ფაქტორი, რადგან პირველი კლასია (ანბანის შესწავლა დასრულდა დეკემბერში).
2. მარცვლის და შემდგომ სიტყვის არასწორად წარმოთქმა.

3. მოსწავლეთა მხრიდან მეცადინეობისთვის არასაკმარისი დროის დათმობა (ადვილად ბეზრდებათ).
4. არასწორად შერჩეული ტექსტები .
5. მშობლების ნაკლები ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში.

იქიდან გამომდინარე, რომ პირველი კლასი დეკემბრის თვისთვის ამთავრებს ანბანის შესწავლას და სასწავლო წლის ბოლომდე დაახლოებით ხუთი თვეა, რთულია დროის ამ შუალედში, გაწაფული კითხვის უნარის სრულყოფილად განვითარება. თუმცა ამ ამოცანას მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი კარგად ართმევს თავს, მაგრამ რჩება მოსწავლეთა ნაწილი, რომელიც ამ შედეგზე ვერ გადის და რომელთა გამოც გაჩნდა ამ კვლევის საჭიროება.

ყველაზე საყურადღებო და გასათვალისწინებელ მიზეზად ჩავთვალე მშობლის დახმარება საკუთარი შვილისთვის და ამიტომ გადავწყვიტე ჩამეტარებინა სიღრმისეული კვლევა. შემესწავლა პრობლემის გამომწვევი მიზეზები, მეჩვენებინა მშობლებისათვის კითხვის სწავლების პროცესში მათი ჩართულობის აუცილებლობა, რათა ერთობლივად, მიზანმიმართულად დავხმარებოდით მოსწავლეებს გაწაფული კითხვის უნარის ჩამოყალიბებაში.

ვფიქრობ სამიზნე ჯგუფთან გარკვეული ვადით მუშაობა დამეხმარება პრობლემის სიღრმისეულ გამოკვლევასა და გამომწვევი მიზეზების დადგენაში.

საკვლევი საკითხი ჩამოვაყალიბე შემდეგნაირად: **„I[4] გაწაფული კითხვის უნარის განვითარების პროცესში მშობელთა ნაკლებად ჩართულობით გამოწვეული პრობლემა და მისი გადაჭრის გზები.“**

I.2. კვლევის მიზნები:

- **მოვახდინო გაწაფული კითხვის პროცესის დიაგნოსტირება. მოვახდინო პრობლემის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება და დავსახო მათი გადაჭრის გზები.**
- **გავეცნო გაწაფული კითხვის განვითარების პროცესში მშობელთა ჩართულობის ეფექტურ სტრატეგიებს და მშობლებს დავანახო მათი ჩართულობის აუცილებლობა მოსწავლის წარმატებისათვის.**

- **ეფექტურად დავგეგმო შემდგომი სასწავლო პროცესი და დავხვეწო ჩემი პედაგოგიური პრაქტიკა.**

კვლევის პერიოდში გამოვიყენე როგორც თვისებრივი (აღწერითი და ფოკუსირებული დაკვირვება) , ისე რაოდენობრივი (დახურული და ღია, ანონიმური ანკეტირება) **მეთოდები.** შეგროვილ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე დავგეგმე **ინტერვენციები:** საინფორმაციო შეხვედრა მშობლებთან, კლასში ,,მკითხველთა კუთხის" მოწყობა, მშობელთა დასწრება ,,კითხვის საათებზე", პოსტერის დამზადება და გამოყენება: ,,წაიკითხე, წაუკითხე, წაიკითხავს". კვლევის შედეგების განხილვისას გამოიკვეთა:

ა) მოსწავლისთვის:

- მოსწავლეები, რომლებიც სისტემატურად, აქტიურად არიან ჩართული გაწაფული კითხვის უნარების განვითარების პროცესში, ადვილად ეუფლებიან კითხვის ეფექტურ უნარებს და ტექსტის კითხვის მაჩვენებლის მიხედვით აქვთ სასურველი შედეგი.
- გაწაფული კითხვის უნარების განვითარების პროცესში ჩართული მშობლების შვილები ინტერესს იჩენენ საოჯახო და ზოგადად, ბიბლიოთეკების მიმართ.

ბ) მშობლისთვის:

გაწაფული კითხვის უნარების განვითარების პროცესში მონაწილეობის შედეგად მშობელი:

- ცდილობს გაერკვეს კითხვის ეფექტურ მეთოდებში და დაეხმაროს შვილს;
- უფრო უკეთესად აღიქვამს შვილის წინაშე არსებულ ამოცანებს.

მშობელთა ჩართულობა ზრდის კომუნიკაციის ხარისხს მშობლებსა და მასწავლებლებს შორის, რაც ეხმარება პედაგოგს, სისტემატიურად იღებდეს ამომწურავ ინფორმაციას ბავშვის შესახებ. მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე სასწავლო პროცესის მორგება კი მასწავლებელს სასურველ შედეგს მისცემს. ასეთ ვითარებაში კი, როცა მშობელი შვილის ინტერესებით, საჭიროებებითა და შესაძლებლობებით ინტერესდება და მხარს უჭერს მას, ყოველთვის დადგება სასურველი შედეგი.

1.3.ძირითადიდასკვნები:ჩემთვის ცნობილია, რომ საჭიროა მოსწავლეთა გამხნევება, დახმარებასასწავლოპროცესშიწამოჭრილისირთულეებისგადალახვაში, ზრუნვაიმაზე, რომსასწავლოპროცესინაკლებადდამღლელიაღმოჩნდეს.პირველკლასელისთვისსწავლაშიწარმატებაძალიანმნიშვნელოვანიაამიტომ, ისინი ძლიერ განიცდიან წარუმატებლობას. დროთა განმავლობაში, ეკარგებათ მოტივაცია და ინტერესი. აუცილებელია მათთვის ისეთი გარემოს შექმნა, სადაც თითოეული მოსწავლე იგრძნობს საკუთარ წარმატებას. სწორედ ეს უნდა იყოს მთავარი ხაზი მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნილებებში. საქმეს შევუდექი სიყვარულით და თამაშით და შეუმჩნევლად ნელ-ნელა. ამ პროცესს წელს განსაკუთრებით შეუწყობს ხელს ,,ახალი სკოლის მოდელში“ ჩართულობა. თამაშით სწავლა ინტერესითა, სიყვარულით საქმის შესრულების საუკეთესო წინაპირობაა. კვლევის პროცესში გამოყენებული მეთოდები დამეხმარა გაწაფული კითხვის სწავლების პროცესში წარმოშობილი პრობლემების რეალური მიზეზების დადგენაში. ჩემი პირველადი ვარაუდით, მშობელთა მხრივ, პრობლემის გამომწვევ მიზეზად, დროის სიმცირე გამოიკვეთებოდა. მონაცემთა ანალიზის საფუძველზე დაგეგმილი ინტერვენციების განხორციელებამ პოზიტიური შედეგი მაჩვენა. გამართული კითხვის სარეკომენდაციო მაჩვენებლის მიხედვით, ყველა მოსწავლემ სასურველი მაჩვენებელი ვერ დაძლია და გაცილებით მეტი პრობლემა დააფიქსირა.

II თავი

ლიტერატურისმიმოხილვა:ეროვნულ სასწავლო გეგმაში ვხედავთ, რომ წიგნიერება პირველ ადგილზეა პრიორიტეტულ, გამჭოლ კომპეტენციათა შორის . წიგნიერების განვითარებას მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობს გაწაფული კითხვა. გაწაფული კითხვის საწყისი ეტაპიდან გარდამავალ ეტაპზე გადასვლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი არის სიტყვების მყისიერად ამოცნობა. ეს ხდებაI კლასის ბოლოს.

სკოლის გარდა არის ადგილი, სადაც უნდა განვითარდეს გაწაფული კითხვის უნარი. ეს ადგილია ოჯახი, სადაც ბავშვი ჯერ კიდევ სკოლაში მისვლამდე ისმენს, როგორ უკითხავენ უფროსები ზღაპრებს, პატარა წიგნებს, ლექსებს და ხედავს,

როგორ კითხულობენ თავად მშობლები ჟურნალ-გაზეთებს და წიგნებს. ამ დროს ბავშვს უჩნდება ინტერესი გაიგოს ნაწერი ტექსტის ენა და ცდილობს მიბაძოს მშობლებს.

მნიშვნელოვანია, სკოლამ ითანამშრომლოს მშობლებთან კითხვის ტექნიკის განვითარების მიზნით და მასწავლებელმა მიაწოდოს მათ ინფორმაცია გაწაფული კითხვის, ამ პროცესში ბავშვის მხარდამჭერი სტრატეგიების შესახებ. ეს იმდენად ძირეული უნარია და იმდენად აუცილებელია მისი დროულად განვითარება, რომ ნამდვილად იმსახურებს სკოლისა და ოჯახის ერთობლივ ძალისხმევას. ოჯახთან თანამშრომლობა დიდ დახმარებას გაგვიწევს ამ საქმეში. პედაგოგებმა უნდა წაახალისონ მშობლები, მიაწოდონ ინფორმაცია იმ მიმდინარე პროცესებზე, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ბავშვის მიღწევებზე სკოლაში, გააცნონ თანამედროვე მეთოდები და მიდგომები განათლების სფეროში, შეფასების ინსტრუმენტები, წსწს**(წუთში სწორად წაკითხული სიტყვები)** რაოდენობის გამოთვლა და ა.შ. რადგან კითხვის გვირგვინი და საბოლოო მიზანი არის გაგება-გააზრება, ყველა ოჯახმა, ყველა მშობელმა უნდა მიიღოს მასწავლებლისგან ერთი დიდი რეკომენდაცია- ბავშვებმა იკითხონ ხშირად და იკითხონ ბევრი.

მასწავლებლის და მშობლის მხრიდან მოსწავლეთა გაწაფული კითხვის უნარების განვითარება, მხოლოდ ერთი შეხედვით შეიძლება გამოიყურებოდეს მარტივ საქმედ, რეალურად მას საგანგებოდ დაგეგმვა და ნაბიჯ-ნაბიჯ განხორციელება

სჭირდება. ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მათი ასაკის შესაბამისი ლიტერატურა. აუცილებელია საკლასო ბიბლიოთეკის მოწყობა და ასევე ის, რომ ვასწავლოთ საოჯახო დამოუკიდებელი თუ საზოგადოებრივი ბიბლიოთეკით სარგებლობა. შეიძლება ელ. ბიბლიოთეკის გააქტიურება, რომელიც მეტ ინტერესს აღძრავს მოსწავლეებში ფართო და მუდამ განახლებადი რესურსების გამო.

მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მშობლის ინიციატივას, შეიკრიბონ და ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება ბავშვების სასკოლო ცხოვრებაში, კერძოდ, კითხვის უნარის განვითარებაში დასახმარებლად.

გარდა საერთო შეხვედრებისა, მნიშვნელოვანია მშობლებთან ინდივიდუალური კომუნიკაცია. მასწავლებელმა წინასწარ კარგად უნდა დაგეგმოს შეხვედრები, რომელიც ხელს შეუწყობს მშობლის დროულ ინფორმირებას მოსწავლის წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ. ასეთი შეხვედრები მასწავლებელსაც და მშობელსაც საშუალებას აძლევს უფრო სრულყოფილი წარმოდგენა შეიქმნან მოსწავლის საჭიროებების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა: G-PRIED

მშობელთა ჩართულობაkargiskola.ge

რეკომენდაციები მშობლებსkargiskola.ge

აქტივობების კრებული მშობლებისათვისkargiskola.ge

III თავი

კვლევისდიზაინი

III. 1. **ძირითადისაკვლევიკითხვა:**როგორ გავაუმჯობესოთ გაწაფული კითხვის უნარები?

გაწაფული კითხვის უნარების განვითარების პროცესში, როგორ გავზარდოთ მშობელთა ჩართულობა შედეგების გაუმჯობესების მიზნით?

კვლევის მთავარ კითხვაზე პასუხის გასაცემად ჩამოვაყალიბე შემდეგი**ქვეკითხვები:**

- რა არის გაწაფული კითხვის უნარის განვითარების პროცესში მშობელთა ნაკლებად ჩართულობის მიზეზი?
- კითხულობენ თუ არა რაიმე ლიტერატურას შვილებთან ერთად და თუ საუბრობენ მათთან წაკითხულის ირგვლივ?
- ეხმარებიან თუ არა შვილებს საშინაო დავალების შესრულებაში?
- როგორი დამოკიდებულება აქვთ მოსწავლეებს კითხვის პროცესში მშობლების მონაწილეობასთან?

კვლევის არსი ასეთია: კვლევაში ჩართული მასწავლებელი დამშობლები თვალს უსწორებენ პრობლემას, ერთმანეთს უზიარებენ მოსაზრებებს, იღებენ გადაწყვეტილებებზე გააზრებულ პასუხისმგებლობებს და აღწევენ სასურველ შედეგს.

III.2. სამიზნე ჯგუფი:I კლასის ყველა მოსწავლე და ყველა მშობელი.(26 მოსწავლე და 26 მშობელი)

III.3. კვლევისმეთოდები:კვლევის პროცესის სანდოობისა და მაღლი ხარისხის უზრუნველსაყოფად, ასევე საკვლევ კითხვებზე პასუხის გასაცემად გამოყენებული იყო კვლევის შემდეგი მეთოდები:

- **აღწერითი დაკვირვება:** კვლევის საწყის ეტაპზეგაკვეთილის მსვლელობაში და ,,კითხვის საათებზე" გამოვიყენე აღწერითი დაკვირვება და აღმოვაჩინე, რომ გაწაფული კითხვის უნარების დაუფლება უჭირდა იმ მოსწავლეებს, რომელთა მშობლებიც ნაკლებად იყვნენ დაინტერესებული სასკოლო ცხოვრებით.
- იმისათვის, რომ მკაფიოდ გამომეკვეთა პრობლემის კონკრეტული ელემენტები და დამეფიქსირებინა მოსწავლეთა მიღწევები, კვლევის დასაწყისში და ბოლოს, ჩავატარე **ფოკუსირებული დაკვირვება,** შევარჩიე შესაბამისი ტექსტი და მოსწავლეებს შევთავაზე ტექსტის წაკითხვის ტესტის ჩატარება, (დანართი №1) რომლის მიზანია ტექსტის გამართულად წაკითხვის უნარის შემოწმება. სპეციალური ფორმულით(დანართი №2) გამოვიანგარიშე

წსწს რაოდენობა, შევადარე ტექსტის წაკითხვის მაჩვენებელს კლასის მიხედვით(დანართი N3) და აღმოჩნდა, რომ ერთ მოსწავლეს ჰქონდა დასაშვები საშუალო მაჩვენებელი(28), ერთი კი რისკის ზონაში იმყოფებოდა(20). შედეგებს ვაფიქსირებდი მონიტორინგის რვეულში.

- **ინტერვიუ** რისკის ზონაში მყოფ მოსწავლესთან: იმისათვის, რომ გამერკვია მოსწავლის დაბალი მაჩვენებლის მიზეზი გაწაფულ კითხვაში, გამოვიყენე ინტერვიუ, რომელიც დავიწყე ღია კითხვით. მოსწავლის პასუხებიდან გამოჩნდა, რომ ოჯახში აქვთ ბიბლიოთეკა (წიგნების გარკვეული რაოდენობა), მაგრამ წიგნებს არავინ კითხულობს. თვითონ წაკითხულის მოსმენაც უყვარს და ,,დედიკოსთან"ერთადწაკითხვის სურვილიც აქვს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში თანხმობას ვერ იღებს,რადგან ,,დედიკოს" კითხვისთვის არ სცალია. (ინტერვიუს კითხვები დანართი N4)
- **ანკეტირება** ანონიმური, ღია და დახურული: მოსწავლეებისა და მშობლებისათვის მოვამზადე ანკეტები ღია და დახურული კითხვებით. ანკეტირება იყო ანონიმური.(დანართი N 5)

III.4. მონაცემთა ანალიზი:

1.გამოიკითხა I[4]კლასის 26 მოსწავლე და 26 მშობელი(ყველა მოსწავლე და ყველა მშობელი)

2.გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, რომ:

ა) მოსწავლეთა 20% -თან კითხულობენ ოჯახში, 40%- თან ხანდახან, ხოლო 40% -თან არ კითხულობენ.

ბ) მოსწავლეთა 80% აქვს უფროსებთან ერთად წაკითხვის სურვილი, ხოლო 20 % არა.

3.გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, რომ:

ა) მშობელთა 20 % კითხულობს ყოველდღე, 80% კითხულობს, როცა დრო აქვს

ბ)მშობელთა 60% შვილებთან ერთად კითხულობს ხანდახან, 20 % კითხულობს სისტემატურად, ხოლო 20% არ კითხულობს.



კითხვარი მოსწავლეებისათვის:





კითხვარი მშობლებისათვის:


რამდენად ხშირად
კითხულობთ თქვენ?
როცა დრო
მაქვს
კვირაში
ერთხელ
ყოველდღე
ყოველ დღე
კვირაში ერთხელ
როცა დრო მაქვს


კითხულობთ თუ არა
ოჯახში შვილებთან ერთად
და თუ მსჯელობთ მათთან...
20%
20%
60%
დიახ
არა
ხანდახან



III. 5. მიგნებები:მონაცემთა შეგროვების თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით გამოიკვეთა, რომ გაწაფული კითხვის უნარების განვითრების პროცესში მშობლების ნაკლებად ჩართულობის მიზეზი არის :

1. დროის სიმცირე

2.ინფორმაციის ნაკლებობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

მშობლების შემოთავაზება ასეთია: მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში ჩავატაროთ დიაგნოსტიკური ტესტირება, განვსაზღვროთ მდგომარეობა და თვეში ერთხელ დავაწესოთ მშობლის დასწრება გაკვეთილზე. ამის განსახორციელებლად წინასწარ დავგეგმოთსხვადასხვა აქტივობები.

III. 6. ინტერვენციებიდა მათი განხორციელება:

მშობლებთან თანამშრომლობითი პრინციპების გათვალისწინებით დავგეგმე ისეთი **ქმედებები,** რომლებიც უფრო ინტენსიურს გახდიდა მასწავლებლის, მოსწავლის და მშობლის ურთიერთობებს. ამ სამი აუცილებელი განმხორციელებლის აქტიური ქმედებით და კითხვის ეფექტური მეთოდების გამოყენებით გაიზრდებოდა ჩართულობა კითხვის ტექნიკის განვითარების პროცესში.

საინფორმაციო შეხვედრა მშობლებთან: რადგან ანალიზის შედეგებით გამოიკვეთა მშობელთათვის ინფორმაციის ნაკლებობა, ზოგადად გაწაფული კითხვის უნარების და მათი ჩართულობის შესახებ ამ უნარების განვითარების პროცესში, შევხვდი მათ და მივაწოდე საჭირო ინფორმაცია. გავაცანი გაწაფული კითხვის მახასიათებლები და თვითშეფასება(დანართი №4), ასევე კითხვის ეფექტური სტრატეგიები: განმეორებით კითხვა, ურთიერთწაკითხვა, სამოდელო კითხვა, აუდიოჩანაწერის მოსმენა. აქედან ერთ-ერთი (განმეორებით კითხვა) ჩვენ გამოვიყენეთ ჯერ კვლევის დასაწყისში და შემდეგ კვლავ გამოვიყენეთ კვლევის ბოლოს შედეგების გადასამოწმებლად. ხოლო სხვა სტრატეგიებს ვიყენებდით გაკვეთილებზე და კითხვის საათებზე.მშობლებისათვის რომ თვალსაჩინო ყოფილიყო გაწაფული კითხვის სტრატეგიების ეფექტურობა, ასევე ის, თუ როგორი მონდომებულები არიან მათი შვილები უფროსებთან ერთობლივი კითხვის განხორციელებაზე, შევთავაზე **„კლასის საათებზე“** დასწრება და მონაწილეობის მიღება აქტივობების განხორციელებაში. ხშირად ისინი თავად იყვნენ მეწყვილე ურთიერთწაკითხვის სტრატეგიის გამოყენებისას. ყურადღებით ვაკვირდებოდი არამარტო კითხვის ხარისხს, არამედ იმასაც, თუ რამდენად კონსტრუქციული იყო მიწოდებული უკუკავშირი.

კლასში მოვაწყეთ **„მკითხველთა კუთხე“,** რომელიც ვიზუალურად მოსწავლეთა და მშობელთა გემოვნების გათვალისწინებით გაფორმდა. აქვე მოვათავსეთ სახლიდან მოტანილი და G-PRIED-ის წიგნები. მოსწავლეებს ძალიან მოეწონათ ამ კუთხეში კითხვის საათების ჩატარება. ასევე თავისუფალ დროსა და დასვენებებზე ათვალიერებდნენ და არჩევდნენ წიგნებს.მშობლებისთვისაც საინტერესო და სახალისო აღმოჩნდა მათი მონაწილეობით მოწყობილ კუთხეში ჩატარებულ კითხვის საათებში ჩართვა. სასწავლო წლის ბოლოს ისინი უკვე თავად გვთავაზობდნენ წასაკითხ ლიტერატურას და ცდილობდნენ თავად შეეფასებინათ როგორ გაიგეს და გაიაზრეს ესა თუ ის ტექსტი მოსწავლეებმა.

სპეციალურად მშობლებისთვის მომზადდა პოსტერი **„ წაიკითხე, წაუკითხე, წაიკითხავს“.** მშობლები დამეთანხმნენ, თუკი ბავშვები დაინახავენ რომ მათი მშობლები რეგულარულად კითხულობენ თვითონ, უკითხავენ და საუბრობენ

შვილებთან წაკითხულის შესახებ, მაშინ აუცილებლად გაუჩნდებათ სურვილი წაიკითხონ თვითონაც.

IV თავი ქმედებების/ ინტერვენციებისშედეგებისშეფასება:

4.1. განხორციელებულიინტერვენციებისშედეგიანობისშეფასება:იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად ეფექტური იყო ჩემს მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციები კვლავ შევთავაზე მოსწავლეებს **განმეორებითი კითხვის აქტივობა,** შევამოწმეთ და სპეციალური ფორმულის გამოყენებით კვლავ დავითვალეთ წსწს რაოდენობა. შედეგი თვალნათლივ დაინახეს მშობლებმაც და ბავშვებმაც. კლასის ყველა მოსწავლეს ცხრილის მიხედვით სასურველი შედეგი (32-ზე მეტი) ჰქონდა, ამის მიხედვით მიმაჩნია, რომ ჩემს მიერ განხორციელებულმა კვლევამ შედეგი გამოიღო.

ინტერვენციების შედეგების ანალიზის საფუძველზე შევიმუშავე **რეკომენდაცია** და მშობლებს შევთავაზე შემდეგი: გავაცანი და ინდივიდუალურად გადავეცი G-PRIED-ის ,,აქტივობის ბარათები მშობელთათვის“ (ასლები). რადგან კვლევა სასწავლო წლის ბოლოს განხორციელდა, მთელი არდადეგების განმავლობაში მათ შეუძლიათ ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენონ ბარათები და ყოველგვარი დატვირთვისა და ძალისხმევის გარეშე შეუმჩნევლად დაეხმარონ ბავშვებს, რომ არ შეუსუსტდეთ გაწაფული კითხვის უნარები.

გარდა ამისა, შევადგინეთ საკითხავი ტექსტები რომლითაც იმუშავებენ არდადეგების განმავლობაში და შეინარჩუნებენ და განივითარებენ უკვე მიღწეულ შედეგს.

V თავი დასკვნები:

V.1. შედეგებისშეჯამება:საინტერესო იყო მიღებული შედეგები. ამ შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კვლევა საინტერესო და პროდუქტიული აღმოჩნდა, როგორც მოსწავლეებისა და მათი მშობლებისთვის, ისე მასწავლებლისთვის.

აღმოჩნდა, რომ მოსწავლეთა მოტივაცია და მიღწევები გაუმჯობესდა, როცა მშობლები აქტიურად ჩაერთვნენ გაწაფული კითხვის უნარების განვითარების საქმეში.კვლევის დასაწყისში მხოლოდ მოსწავლეთა 60%-ს ჰქონდა სასურველი მაჩვენებელი. შეგროვილი მონაცემების ანალიზის საფუძველზე დაგეგმილი ინტერვენციების განხორციელების შედეგად მოსწავლეთა 100% მიაღწია ამ შედეგს. ისინი ხალისით და ინტერესით ცდილობდნენ კითხვის ხარისხის გაუმჯობესებას.

გარდა ამისა, გაიზარდა მოსწავლეთა დაინტერესება საოჯახო, ინტერნეტ და საზოგადოებრივი ბიბლიოთეკების მიმართ. მშობლებმა თვალნათლივ დაინახეს საკუთარი როლი და შესაძლებლობები შვილების წარმატებების მიღწევაში. კონკრეტულად ამ ეტაპზე კი, გაწაფული კითხვის უნარების განვითარებაში. მოიწონეს მშობელთა ჩართულობის ბარათები, რომლებსაც მიზანმიმართულად გამოიყენებენ ზაფხულის განმავლობაში და გამოთქვეს სურვილი , რომ მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში კვლავ ჩავატაროთ იგივე ტესტები და შედეგები შევადაროთ კვლევის ბოლოს მიღებულ შედეგებს. ამასთანავე გადაწყვიტეს მომავალი სასწავლო წლიდან უფრო აქტიურად ჩაერთონ სკოლის ცხოვრებაში სხვადასხვა კუთხით. ყოველივე ამან მე, როგორც მასწავლებელს, მომცა სტიმული სწავლის პროცესში მშობლები პარტნიორებად მივიჩნიო და ამ პარტნიორობის გაძლიერების კონკრეტული გზები ვეძებო.

V.2.მომავალიკვლევისათვისმნიშვნელოვანისაკითხები:ახალი სასწავლო წლიდან ვგეგმავ გამოვიკვლიო როგორ დაეხმარა მშობლებს ზაფხულის არდადეგებზე ,,მშობელთა ჩართულობის ბარათები“ შვილებთან კითხვის უნარების განვითარებაში და მშობელთა შემოთავაზების მიხედვით კვლავ შევამოწმო წსწს რაოდენობა.

ბიბლიოგრაფია:

1. ინასარიძე მ., ლობჟანიძე ს., რატიანი მ., სამსონია ი. ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი“ , ნაწილი II. 2016 წელი. მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
2. მშობელთა ჩართულობა: http://kargiskola.ge/parent/pdf/PE_GUIDE_2015.pdf
3. ინტერნეტჟურნალი ,,მასწავლებელი“. სოფიკო ლობჟანიძე 3 მაისი 2012 წელი

   ,,როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევები“

დანართები

დანართი № 1

ტექსტის წაკითხვის ტესტი

მასწავლებლის ფურცელი

მოსწავლე: კლასი:

მასწავლებელი: თარიღი:

მხატვარი	
- ბესო! იცი რა კარგი ბიჭი დავხატე?! - ახარა ნატომ უფროს ძმას. - წამოდი, გაჩვენებ.	9 12
ბესო დას გაჰყვა. ნატომ ძმა სახლის კედელთან მიიყვანა. თეთრ კედელზე ბიჭი ეხატა. მას დიდი თავი და დიდი ყურები ჰქონდა.	21 31
ნახშირით დასვრილი კედელი რომ დაინახა, ბესო გაბრაზდა.	38
- რა გიქნია ეს! ქაღალდზე ვერ დახატე?!	44
- ვერ ხედავ, რა დიდია? ქაღალდზე როგორ დაეტეოდა? - აბუზღუნდა ნატო. ატირებული დედასთან გაიქცა. დედამ ტირილის მიზეზი რომ გაიგო, არც მან მოუწონა საქციელი. რაკი ქების ნაცვლად დატუქსეს, ნატო ნახატის წაშლას შეუდგა. ნაჭერი აიღო და გაუსვა ნახშირის ბიჭს. მოტყუვდა პატარა. ახლა მთელი კედელი გაშავდა.	51 57 66 74 83 85
- რა სუფთა კედელი იყო და როგორ გამურეს! - წუხდა ყველა, ვინც ნატოს ნახელავს ხედავდა. შერცხვა ბესოს. ხელოსანს სთხოვა დახმარება. კედელი მალე ისევ გაკრიალდა.	94 102 107
ამის შემდეგ ნატოს არავინ კიცხავდა. ის მხოლოდ მამის ნაყიდ სახატავ რვეულში ხატავდა ლამაზ ბიჭუნებსა და გოგონებს.	116 123
წაკითხული სიტყვების რაოდენობა: _____ , შეცდომების რაოდენობა: _____ , ერთ წუთში სწორად წაკითხული სიტყვების რაოდენობა: _____ .	

1. **კითხულობდა თუ არა მოსწავლე სასვენი ნიშნების გათვალისწინებით?**

   ა) კი ბ) არა

2. **კითხულობდა თუ არა მოსწავლე ინტონაციით?**

   ა) კი ბ) არა

ტექსტის წაკითხვა

მოსწავლის ფურცელი

მხატვარი

-ბესო! იცი რა კარგი ბიჭი დავხატე?! - ახარა ნატომ უფროს ძმას. - წამოდი, გაჩვენებ.

ბესო დას გაჰყვა. ნატომ ძმა სახლის კედელთან მიიყვანა.თეთრ კედელზე ბიჭი ეხატა. მას დიდი თავი და ყურები ჰქონდა.

ნახშირით დასვრილი კედელი რომ დაინახა, ბესო გაბრაზდა.

რა გიქნია ეს! ქაღალდზე ვერ დახატე?!

- ვერ ხედავ რა დიდია? ქაღალდზე როგორ დაეტეოდა? - აბუზღუნდა ნატო. ატირებული დედასთან გაიქცა. დედამ ტირილის მიზეზი რომ გაიგო,არც მან მოუწონა საქციელი. რაკი ქების ნაცვლად დატუქსეს, ნატო ნახატის წაშლას შეუდგა. ნაჭერი აიღო და გაუსვა ნახშირის ბიჭს. მოტყუვდა პატარა. ახლა მთელი კედელი გაშავდა.

- რა სუფთა კედელი იყო და როგორ გამურეს! - წუხდა ყველა, ვინც ნატოს ნახელავს ხედავდა. სერცხვა ბესოს. ხელოსანს სთხოვა დახმარება. კედელი მალე ისევ გაკრიალდა.

- ამის შემდეგ ნატოს არავინ კიცხავდა. ის მხოლოდ მამის ნაყიდ სახატავ რვეულში ხატავდა ლამაზ ბიჭუნებს და გოგონებს.

დანართი №2

წუთში სწორად წაკითხული სიტყვების რაოდენობის გამოსათვლელი ფორმულა

$$\text{წსწს}=\frac{(n-m)x60}{t}$$

n--სწორად წაკითხული სიტყვების სრული რაოდენობა

m--შეცდომით წაკითხული სიტყვების რაოდენობა

t--ტექსტის წაკითხვის დრო

დანართი №3

გამართული კითხვის სარეკომენდაციო მაჩვენებელი

ტექსტის წაკითხვის მაჩვენებლის
სხრილი კლასების მიხედვით

კლასი	დაბალი მაჩვენებელი (რისკის ზონა)	დასაშვები საშუალო მაჩვენებელი	კარგი (სასურველი) მაჩვენებელი
მეორე	22-ზე ნაკლები	22-დან 34-მ ნაკლები	34-ზე მეტი
მესამე	29-ზე ნაკლები	29-დან 45-მ ნაკლები	45-ზე მეტი
მეოთხე	40-ზე ნაკლები	40-დან 58-მ ნაკლები	58-ზე მეტი

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE G-PRIED Georgia Primary Education Project

დანართი № 4

ინტერვიუ რისკის ზონაში მყოფ მოსწავლესთან:

1. როგორ ფიქრობ, რა დანიშნულება აქვს ბიბლიოთეკას?
2. თქვენ თუ გაქვთ ოჯახში ბიბლიოთეკა?
3. სარგებლობ ამ ბიბლიოთეკით?
4. დამოუკიდებლად კითხულობ თუ უფროსებთან ერთად?
5. მშობლები ხშირად კითხულობენ რაიმე ლიტერატურას , ჟურნალ-გაზეთებს?
6. გიყვარს წაკითხულის მოსმენა?
7. არ გითხოვია მშობლებისთვის, რომ წაგიკითხონ რაიმე წიგნი, მოთხრობა ან ლექსი?
8. რას გპასუხობენ?

მადლობა მონაწილეობისათვის

დანართი № 5

ანკეტა მოსწავლისათვის

1. მოგწონთ თუ არა უფროსებთან ერთად კითხვა?

   ა) დიახ ბ) არა

2. სახლში თუ გიკითხავენ და საუბრობენ თქვენთან წაკითხულის ირგვლივ მშობლები?

   ა) დიახ ბ)არა გ) ხანდახან

მადლობა მონაწილეობისათვის

ანკეტა მშობლისათვის

ჩვენს კლასში ვატარებთ კვლევას გაწაფული კითხვის უნარების განვითარების პროცესში მშობელთა ჩართულობის გასაუმჯობესებლად. თქვენი, როგორც მშობლის მონაწილეობა გამოკითხვაში მნიშვნელოვანია კვლევის სწორად წარმართვისათვის. თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია.

1. რამდენად ხშირად კითხულობთ თქვენ?
   ა) ყოველ დღე ბ) კვირაში ერთხელ გ) როცა დრო მაქვს

2. უკითხავთ თუ არა რაიმე ლიტერატურას სახლში შვილებს და თუ მსჯელობთ მათთან წაკითხულის შესახებ?

   ა) დიახ ბ) არა გ) ხანდახან

3. რა არის მიზეზი იმისა, რომ ვერ ახერხებთ დრო დაუთმოთ შვილებთან ერთად კითხვას?

4. რას ფიქრობთ, თქვენი მეტად ჩართულობის შემთხვევაში თქვენს შვილს როგორი მიღწევები ექნება?

5. ხომ არ შემომთავაზებთ რაიმე წინადადებას გაწაფული კითხვის უნარების განვითარების პროცესში თქვენი ჩართულობის გასაუმჯობესებლად?

მადლობა მონაწილეობისათვის

დანართი №6



რეფლექსია

მიმდინარე სასწავლო წლის დეკემბერი-მაისის თვეებში ჩავატარე საკუთარი პრაქტიკის კვლევა. საკვლევი საკითხი იყო:

,,I[4] კლასში გაწაფული კითხვის უნარის განვითარების პროცესში მშობელთა ნაკლებად ჩართულობით გამოწვეული პრობლემა და მისი გადაჭრის გზები.“

კვლევა განვათავსე სოციალურ ქსელში
https://www.facebook.com/groups/1683547995064400/?hc_ref=ARSW9KQvja83cUXV3znY2Ti90_C0obcsYbQNIrm3qQiRjUAkjfWgvK-ysfo8qdx9dKE

კვლევის მეთოდების გამოყენებით შეგროვებულ მონაცემთა ანალიზის საფუძველზე დავგეგმე და განვახორციელე ინტერვენციები. შედეგების ანალიზის მიხედვით თვალნათლივ დავინახეთ მეც და მშობლებმაც კვლევის შედეგი, რომელიც გავაცანი დაწყებითი კლასების კათედრის წევრებს. მოვამზადე სლაიდები და კოლეგებს დეტალურად ავუხსენისაკვლევი საკითხის შერჩევის მიზეზი და კვლევის მიზნები. გამოვკვეთე მთავარი კითხვა და ქვეკითხვები. ვისაუბრე კვლევის მეთოდების, მათი გამოყენებით შეგროვილ მონაცემთა ანალიზის, ასევე დაგეგმილ ინტერვენციების და შედეგების შესახებ.

კოლეგებმა აღნიშნეს, რომ კვლევისათვის შერჩეული პრობლემა დაწყებითი კლასების პედაგოგებისათვის ნაცნობი და საჭირბოროტო თემაა. მათ მოიწონეს და გაიზიარეს დაგეგმილი ინტერვენციები. კოლეგებმა დადებითად შეაფასეს ჩემ მიერ ჩატარებული კვლევა და გამოთქვეს იმედი, რომ აღნიშნული კვლევა დაეხმარება მათ პრაქტიკულ საქმიანობაში. წამოაყენეს წინადადება იმის შესახებ, რომ კარგი იქნება მსგავსი კვლევა ჩატარდეს საერთოდ დაწყებით საფეხურზე.

კვლევის ნაკლოვანების და მისი გამოსწორების გზებზე საუბრის დროს კოლეგებმა გამიზიარეს რჩევები და რეკომენდაციები;

ახალი სასწავლო წლიდან ვგეგმავ გამოვიკვლიო როგორ დაეხმარა მშობლებს ზაფხულის არდადეგებზე ,,მშობელთა ჩართულობის ბარათები“ შვილებთან კითხვის უნარების განვითარებაში და მშობელთა შემოთავაზების მიხედვით კვლავ შევამოწმებთ წსწს რაოდენობას. აქ უკვე აუცილებლად გავითვალისწინებ მშობლის დროის ლიმიტს და კოლეგების მითითებებს.

ნინო ნოზაძე

6.13.2019წ.